საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს განკარგულება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 97/19

10 სექტემბერი, 2013 წელი

**საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/216; 05.09.2013)**

*(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)*

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრი დ. ონოფრიშვილი

ინიციატორი

საქ. პარლამენტის წევრი დ. ონოფრიშვილი

ავტორი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

05. 09. 2013.

შემოსვლის თარიღი

წამყვან კომიტეტზე - 11.09 - 20.09

საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი

18.09 – 20.09

პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№97/58

2013 წელი, 10 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/216; 05.09.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 9 სექტემბრის №97/19 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე